ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №38

2011 წლის 11 მაისი
ქ. ქობულეთი

შ.პ.ს. „ა-ნეტ A-NET“-სათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემისა და კანალიზაციის მშენებლობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ შ.პ.ს. „ა-ნეტ A-NET“-ს (ს/კ 404893978) მიერ იგეგმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემისა და კანალიზაციის მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მაღალხარისხიანი ინტერნეტით მომსახურებას.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №-57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შ.პ.ს. „ა-ნეტ A-NET“-ს ქ.ქობულეთის ტერიტორიაზე აწარმოოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემისა და კანალიზაციის მშენებლობა.

2. შ.პ.ს. „ა-ნეტ A-NET“-მა ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემისა და კანალიზაციის მშენებლობისათვის საჭირო ნებართვის მისაღებად დაკავშირებული პროცედურები აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. გაფრთხილდეს შ.პ.ს. „ა-ნეტ A-NET“ მასზედ, რომ სახელმწიფო პროგრამით დაგეგმილი განაშენიანების სამუშაოების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ძალებით უზრუნველყოს საკაბელო ტრასის ადგილმონაცვლეობა.

4. შ.პ.ს. „ა-ნეტ A-NET“-მა უზრუნველყოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემისა და კანალიზაციის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან. (შ.პ.ს. „ფოპნეტი“, შ.პ.ს. „სილქნეტი“-ს აჭარის ფილიალი და ს.ს. „ენერგო-პროჯორჯია“, შ.პ.ს. „ქობულეთის წყალკანალი“, აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის საავტომობილი გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი).

5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი);

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**